ნაირა მამუკელაშვილი
ნინო როსტომაშვილი
ელზა გარაყანიძე

მუსიკა

კლასი 4

მოსწავლის წიგნი

გამომცემლობა „პეგასი“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

მუსიკა

IV კლასის
მოსწავლის წიგნი

ავტორი	ნაირა მამუკელაშვილი ნინო როსტომაშვილი ელზა გარაყანიძე
რედაქტორი	ნათელა თუხარელი
დიზაინერ- დამკაბადონებელი	თინათინ არევაძე

გამომცემლობა „პეგასი“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 105 467; 597 029 031
ელ.ფოსტა: bookpefasus@gmail.com
www.pegasus.ge

© გამომცემლობა „პეგასი“, 2018
© ნაირა მამუკელაშვილი, ნინო როსტომაშვილი, ელზა გარაყანიძე, 2018

გამოცემის წელი და რიგითობა 2018 წელი
ISBN 978-9941-9524-9-4

სარჩევი

განმარტებები 3
I თავი – გარე სამყარო მუსიკაში. მუსიკა და ტელევიზია 4
1-9. ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდები 5
10-12. ტელეგადაცემის ვოკალური მუსიკალური ქუდი. 8
13-16. მუსიკა სატელევიზიო ანონსის დროს 9
17-19. სატელევიზიო გადაცემის ანონსი – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი 10
20-21. სატელევიზიო გადაცემა – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი 11
22-25. სატელევიზიო გადაცემის ანონსი – რევაზ ლაღიძე 12
26. შემაჯამებელი 13
27-28. სატელევიზიო გადაცემა – „თბილისის მოტრფიალენი“ 14
II თავი - მუსიკა და ჩვენი ყოფა. მუსიკა და თავისუფალი დრო 16
29-32. აქტიური და პასიური დასვენება 17
33-41. მუსიკა ხალხის თავშეყრის ადგილებში 19
42. შემაჯამებელი 25
III თავი – მუსიკა და კინო. მუსიკის როლი ანიმაციასა
და საყმაწვილო კინოში 26
43-44. „დათუნია“ და „ძაღლი რექსი“ 27
45-46. „ზაქრო და შაქრო“ 28
47-48. „მისტერ ბინი“ 29
49-51. „მანქანები“ 30
52-53. „მოანა“ 32
54-55. ქართული მიუზიკლი –„ვერის უბნის მელოდიები“ 33
56. შემაჯამებელი 34
IV თავი - ეთნოგრაფია და მუსიკა. სხვადასხვა ხალხის
რიტუალები და მუსიკა 35
57-59. ქართული ხალხური სიმღერები და რიტუალები 36
60-62. რიტუალები სხვადასხვა ხალხის საცეკვაო მუსიკაში 38
63-64. სატელევიზიო ანონსი – „სხვადასხვა ხალხის სარიტუალო
სიმღერები და ცეკვები“ 41
65. შემაჯამებელი 41
მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი 42

განმარტებები

კითხვები და დავალებები

მუშაობა ჯგუფებში

მოისმინეთ

წაიკითხეთ

იმღერეთ

რიტმული სავარჯიშო

გააჟღერეთ კომპიუტერში

უყურეთ ვიდეოს

I თავი – გარე სამყარო მუსიკაში

მუსიკა და ტელევიზია

ამ გაკვეთილებზე თქვენ გაეცნობით:

როგორ მოქმედებს მუსიკა ტელემაყურებლის ემოციაზე. როგორ უნდა შევარჩიოთ მუსიკა ტელეპროგრამისათვის.

თქვენ შეძლებთ:

გააკეთოთ ტელეგადაცემის მუსიკალური ქუდი და ტელეგადაცემა; გამოიყენოთ კომპიუტერული პროგრამა ამ მიზნით.

1-9 ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდები

განსაზღვრეთ, რა ტიპის გადაცემას უყურებენ ოჯახის წევრები? განმარტეთ, რის მიხედვით გააკეთეთ ასეთი დასკვნა.

მოისმინეთ ტელეგადაცემების მუსიკალური მასალა და ამოიცანით გადაცემები. განმარტეთ, რის მიხედვით გააკეთეთ ასეთი დასკვნა?

განმეორებით მოისმინეთ მუსიკალური მასალა და გამოთქვით ვარაუდები, რომელ ჟანრს ეკუთვნის ესა თუ ის გადაცემა? იმსჯელეთ, რით განსხვავდება მოსმენილი გადაცემების მუსიკალური ქუდები ერთმანეთისგან? რა მნიშვნელობა აქვს მუსიკალურ ქუდს გადაცემის აღქმის თვალსაზრისით?

> ჟანრი არის ტელეგადაცემათა სახეობა, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური და სტილისტური ნიშნებით.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები.



სურათების მიხედვით განსაზღვრეთ, რა ჟანრის სატელევიზიო გადაცემებია და მათი მუსიკალური ქუდების დასახასიათებლად შეარჩიეთ სიტყვები: ენერგიული, წყნარი, მშვიდი, საზეიმო, დიდებული, ამაღელვებელი.



სატელევიზიო გადაცემის ჟანრებია: საბავშვო, სპორტული, შემეცნებითი, გასართობი და სხვა.

გაიხსენეთ, კიდევ რა ჟანრის გადაცემები გინახავთ ტელევიზიით.

მოისმინეთ სატელევიზიო გადაცემების მუსიკალური ქუდები და მიუსადაგეთ გადაცემის ჟანრებს. განმარტეთ, რატომ გააკეთეთ ასეთი არჩევანი.

მოისმინეთ განსხვავებული ხასიათის მუსიკალური ქუდები. იმსჯელეთ, რა განსხვავებაა მათ შორის, როგორია მათი განწყობა, ქრონომეტრაჟი? რომელი მუსიკალური ქუდი რომელი ჟანრის ტელეგადაცემას მოუხდება?

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები

ო-რი ო-რი ო-რი ო-რი

> > > >

ერთი ერთი ერთი ერთი

მოისმინეთ უცნობი ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდები. განსაზღვრეთ, რომელ სურათს შეესაბამება და რა ჟანრის ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდებია ისინი. გამოთქვით ვარაუდები და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები მოსმენილი მუსიკალური ქუდების ხასიათზე, მინიშნებებზე.

მოისმინეთ სიმღერის ფრაგმენტი. განსაზღვრეთ, რა ჟანრის ტელეგადაცემას მოუხდება ის, როგორც მუსიკალური ქუდი. შემდეგ ხმით აჰყევით მელოდიას და შეისწავლეთ სიმღერა.

მოისმინეთ ორი მუსიკალური ნაწყვეტი. რომელ მუსიკალურ ნაწყვეტშია მუსიკალური თემა დასრულებული და რომელში დაუსრულებელი? გამოთქვით და დაასაბუთეთ თქვენი ვარაუდები.

მასწავლებლის მიერ ნამღერი მუსიკალური თემის დასაწყისი დაასრულეთ სიმღერით. დაადგინეთ, რომელი ტიპის გადაცემას მოუხდებოდა ეს მუსიკალური თემა.

მოისმინეთ მუსიკალური თემის დასაწყისი და შეძლებისდაგვარად დაასრულეთ. განსაზღვრეთ, რომელ გადაცემას მოუხდება იგი. დასრულებულ მუსიკალურ თემას თანხლებად შეურჩიეთ კომპიუტერში არსებული ბიტები, ხმის ეფექტები და გააჟღერეთ კლასში.

გადმოგზავნილ მუსიკალურ თემას შეუსაბამეთ კომპიუტერში არსებული ბიტები და გააჟღერეთ კლასში. შემდეგ ტაშით აჰყევით მუსიკას.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები

ორი ორი ორი ორი

> > > >

ერ-თი ერ-თი ერ-თი ერ-თი

10-12 ტელეგადაცემის ვოკალური მუსიკალური ქუდი

თქვენი აზრით, რა ხასიათის გადაცემას უყურებენ ოჯახის წევრები? როგორი ხასიათის მუსიკალური ქუდი მოუხდება ამ გადაცემას? მოისმინეთ ტელეგადაცემების ორი მუსიკალური ქუდი და განსაზღვრეთ, რა ჟანრის ტელეგადაცემებს მოუხდებოდა ისინი.

რაიმე მოტივზე წაიმღერეთ რომელიმე ტელეგადაცემის სახელწოდება.

რომელი მუსიკალური ქუდი უფრო ეფექტურია, ვოკალური თუ ინსტრუმენტული. გამოთქვით ვარაუდები და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

მუშაობა ჯგუფებში. გადმოგზავნილი მუსიკალური ქუდების ფრაგმენტების გამოყენებით და კომპიუტერში არსებული ბიტების თანხლებით შექმენით მუსიკალური ქუდი; წარუდგინეთ ნამუშევრები კლასს. განმეორებით მოსმენისას ტაშით აჰყევით მუსიკას.

გაეცანით განმარტებას. განსაზღვრეთ, თქვენ მიერ მოსმენილი მუსიკალური ქუდები ვოკალურია თუ ინსტრუმენტული?

> მუსიკალური ნაწარმოები სრულდება ადამიანის ხმით ან საკრავებით (ინსტრუმენტებით). ადამიანის ხმით შესრულებულ მუსიკას ვოკალური მუსიკა ჰქვია, ხოლო მუსიკას, რომელიც საკრავებით სრულდება, საკრავიერი ანუ ინსტრუმენტული მუსიკა ეწოდება.

მოისმინეთ ორი ქართული სიმღერა. განსაზღვრეთ, რა ჟანრის გადაცემებს მოუხდება ისინი, როგორც მუსიკალური ქუდი. შემდეგ შეისწავლეთ ერთ-ერთი სიმღერა.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები

ო-რი ო-რი ო-რი ო-რი

> > > >

ერ-თი ერ-თი ერ-თი ერ-თი

13-16 მუსიკა სატელევიზიო ანონსის დროს

წყვილებში იმსჯელეთ და გამოთქვით მოსაზრებები, რა არის გამოსახული სურათებზე.

ანონსი არის რაიმე მოვლენის – კონცერტის, სპექტაკლის, კინოფილმის, წიგნის, ტელეგადაცემის – წინასწარი შეტყობინება.

მოისმინეთ ტელეგადაცემების ანონსები. ყურადღება მიაქციეთ, როგორ ჟღერს მუსიკა გადაცემის ანონსის დროს.

იმსჯელეთ და გამოთქვით ვარაუდები, როგორ ჟღერს მუსიკა ანონსის დასაწყისში, გადაცემის წამყვანის მიერ ტექსტის წარმოთქმის დროს. გამოთქვით თქვენი მოსაზრებები და დამოკიდებულება მოსმენილი გადაცემების ანონსთან დაკავშირებით.

განსაზღვრეთ, რა გადაცემის ანონსზე მიგვანიშნებს სურათები.

მოისმინეთ განსხვავებული ხასიათის ტელეგადაცემების ანონსები და შეადარეთ წინა გაკვეთილებზე მოსმენილი გადაცემების ანონსებს. დააფიქსირეთ მსგავსება-განსხვავება მათ შორის.

განმეორებით მოისმინეთ რამდენიმე გადაცემის ანონსი და უპასუხეთ კითხვას: როგორია მუსიკა იმ დროს, როდესაც არ ისმის ტექსტი? როდესაც ჟღერს ტექსტი?

უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვას: რა ფუნქცია აკისრია მუსიკას ანონსის დროს? იმსჯელეთ და გამოთქვით თქვენი მოსაზრებები, როგორ იცვლება ანონსში მუსიკის ხასიათი, როდესაც მას ფონის ან მოხმობის ფუნქცია აკისრია.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები

17-19

სატელევიზიო გადაცემის ანონსი – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

მოისმინეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი და გაიხსენეთ: გაქვთ თუ არა მოსმენილი ეს ნაწარმოები.

მუშაობა ჯგუფებში: წაიკითხეთ ინფორმაცია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის შესახებ; ყოველი აბზაციდან შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი წინადადებები და შეადგინეთ ტექსტი გადაცემის ანონსისათვის.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

200 წლის წინ გერმანიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. მან ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები. 6 წლისამ უკვე სოლო კონცერტი გამართა. პირველი საკუთარი ნაწარმოები კი 12 წლისამ დაწერა.

ბეთჰოვენს ახალგაზრდობაშივე დაეწყო სმენის დაქვეითება და მალე დაყრუვდა. მან თავისი უკანასკნელი სიმფონია სრულიად ყრუმ დაწერა. ამ ნაწარმოების შესრულებისას კონცერტზე მყოფ ავტორს არ ესმოდა მსმენელის აღფრთოვანებული ოვაციები. სიყრუის მიუხედავად ბეთჰოვენს არ დაუკარგავს სიცოცხლის ხალისი, რაც შესანიშნავად აისახა მის მუსიკალურ შემოქმედებაში.

ბეთჰოვენის მუსიკა ძალიან პოპულარული იყო. მის მუსიკას დიდი სიამოვნებითა და აღფრთოვანებით ისმენდნენ მსმენელები. ნიშანდობლივია, რომ 1912 წელს, იმ დროის მსოფლიოში, ყველაზე დიდი სამგზავრო გემის – „ტიტანიკის“

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები

უბედურების ჟამს, გემის სიმფონიური ორკესტრი გემბანზე განლაგდა და ბეთჰოვენის „გმირული სიმფონია“ შეასრულა. ტიტანიკი ნელა, დიდხანს იძირებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჟღერდა ბეთჰოვენის მუსიკა.

იმუშავეთ ჯგუფებში: ანონსისათვის შეარჩიეთ წინადადებები ტექსტში, შერჩეული წინადადებებით კომპიუტერებში გააკეთეთ აუდიოჩანაწერი და დაყავით ფრაზებად.

იმუშავეთ ჯგუფებში. გააკეთეთ გადაცემის ანონსი: გადმოგზავნილი მუსიკალური ფრაზები ფონის სახით მიუსადაგეთ თქვენ მიერ ჩაწერილი ტექსტის ამა თუ იმ ფრაზას. ჯგუფებმა წარუდგინეთ ნამუშევრები კლასს.

20-21 სატელევიზიო გადაცემა – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

იმუშავეთ ჯგუფებში. წაიკითხეთ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია ბეთჰოვენის შესახებ და მოიფიქრეთ, როგორ მიაწვდით მაყურებელს ტელეგადაცემის ტექსტს.

ტექსტის მიხედვით გააკეთეთ აუდიოჩანაწერი.

იმუშავეთ ჯგუფებში: გადაცემის ტექსტის თითოეულ აბზაცს შეუსაბამეთ გადმოგზავნილი სემპლები.

ჯგუფებმა წარუდგინეთ პროექტი კლასს.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები



22-25 სატელევიზიო გადაცემის ანონსი – რევაზ ლაღიძე

მოისმინეთ სიმღერის ფრაგმენტი და ამოიცანით მელოდია.

წაიკითხეთ ინფორმაცია კომპოზიტორ რევაზ ლაღიძეზე. ყოველი აბზაციდან შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი წინადადებები და შეადგინეთ ტექსტი გადაცემის ანონსისათვის.

რევაზ ლაღიძე

რევაზ ლაღიძე გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მან მუსიკის წერა უკვე სკოლაში სწავლის დროს დაიწყო. იგი სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების ავტორია. მისი ულამაზესი მელოდიები დიდად შეიყვარა ქართველმა ხალხმა.

რევაზ ლაღიძე მთელი თავისი არსებით იყო საქართველოს მოტრფიალე და მომღერალი. სამშობლოს მშვენიერებით აღფრთოვანებულ შემოქმედს ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე. მან საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები იცოდა და სწორედ ხალხური მუსიკის საფუძველზე შექმნა თავისი ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი.

რევაზ ლაღიძის მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მისი უკვდავი სიმღერები, რომლებიც იშვიათი მელოდიურობითა და გულწრფელობით გამოირჩევა. მან დაწერა სიმღერები 30-ზე მეტი კინოფილმისთვის და სწორედ ეს სიმღერები გახდა ამ ფილმების წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი. ამ სიმღერებს დღესაც დიდი სიამოვნებით მღერიან ქართველი შემსრულებლები.

რევაზ ლაღიძე სიცოცხლეშივე მოესწრო დიდ აღიარებას არა მარტო სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები

სამი ოთხი



სამი, ოთხი



სამი ოთხი ერთი ორი



ერთი, ორი

ერთი ორი

ერთი ორი

სამი ოთხი

იმუშავეთ ჯგუფებში: კომპიუტერებში გააკეთეთ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციიდან შედგენილი ტექსტის აუდიო ჩანაწერი და დაყავით ფრაზებად

გააკეთეთ მუსიკალური ანონსი. გადმოგზავნილი მუსიკალური ფრაზები ფონის სახით მიუსადაგეთ თქვენ მიერ ჩაწერილი ტექსტის ამა თუ იმ ფრაზას. ჯგუფებმა წარუდგინეთ ნამუშევრები კლასს.

მოისმინეთ სიმღერა. მასწავლებელთან ერთად ტაშით და თვლით აჰყევით მუსიკას. შემდეგ მასწავლებლის დახმარებით შეისწავლეთ რევაზ ლაღიძის სიმღერა.

იმუშავეთ ჯგუფებში: სემპლების სახით გადმოგზავნილ სიმღერის მისამღერს შეუსაბამეთ კომპიუტერში არსებული ბიტი, შექმენით კომპოზიცია.

ჯგუფებმა წარუდგინეთ ნამუშევრები კლასს. ჯგუფების მიერ წარმოდგენილ კომპოზიციებს აჰყევით ტაშით.

26 შემაჯამებელი

იმუშავეთ ჯგუფებად. მოისმინეთ აუდიოფრაგმენტები. ამოიცანით, ჩაინიშნეთ და პრეზენტაციის დროს დაასახელეთ, რომელი ნაწარმოებები მოისმინეთ და რა თანამიმდევრობით.

იმუშავეთ ჯგუფებად. მოისმინეთ რამდენიმე სიმღერის ფრაგმენტი. ამოიცანით სიმღერები, ჩაინიშნეთ, რა თანამიმდევრობით გაჟღერდა ისინი. შემდეგ შეარჩიეთ ერთ-ერთი და ერთობლივად გაიმღერეთ პრეზენტაციის დროს.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები

27-28

სატელევიზიო გადაცემა – „თბილისის მოტრფიალენი“

ყურადღებით დააკვირდით და ამოიცანით, რომელი ქალაქია წარმოდგენილი სურათზე. ქალაქის რომელი უბანია ასახული მასზე?

გაიხსენეთ თბილისის დაარსების ისტორია და სიმღერები თბილისზე. შემდეგ მოისმინეთ სიმღერის ფრაგმენტი და მასწავლებელთან ერთად ხმით აჰყევით მუსიკას.

გაიხსენეთ ინფორმაცია კომპოზიტორ რევაზ ლაღიძეზე, შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი: „თბილისის მოტრფიალენი“ და ამ ორ ტექსტზე დაყრდნობით გააკეთეთ ტელეგადაცემა „თბილისის მოტრფიალენი“.

ქართველი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება თბილისს. მისი სიმღერა – „ჩემო თბილის ქალაქო“ – გულწრფელად შეიყვარეს თბილისელებმა. აღსანიშნავია, რომ გიორგი ცაბაძე თავად იყო საკუთარი სიმღერების უბადლო შემსრულებელი, მისი მუსიკა ჟღერს არაერთ ქართულ ფილმში.

იმუშავეთ ჯგუფებში: კომპიუტერებში გააკეთეთ სატელევიზიო გადაცემის „თბილისის მოტრფიალენი“ – ტექსტის აუდიოჩანაწერი და დაყავით ფრაზებად

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები „ყინულის ლოლუები“









1 2 1 2... 1 2 3 1 2 3... 1 2 3 4 1 2 3 4...

მოისმინეთ სიმღერის ფრაგმენტი. შემდეგ მასწავლებელთან ერთად იმღერეთ და შეისწავლეთ ეს სიმღერა.

იმუშავეთ ჯგუფებში: შესწავლილი სიმღერის სემპლებს შეუსაბამეთ კომპიუტერულ პროგრამაში არსებული ბიტი და შექმენით მუსიკალური კომპოზიცია. ტაშით აჰყევით ჯგუფების მიერ წარმოდგენილ კომპოზიციებს.

იმუშავეთ ჯგუფებში: გააკეთეთ მუსიკალური გადაცემა. გადმოგზავნილი მუსიკალური ფრაზები, ფონის სახით მიუსადაგეთ თქვენ მიერ ჩაწერილი ტექსტის ამა თუ იმ ფრაზას. შემდეგ ჯგუფებმა წარუდგინეთ ნამუშევრები კლასს.

მასწავლებელთან ერთად შეასრულეთ რიტმული სავარჯიშოები
„თოვლის ფიფქები“



II თავი – მუსიკა და ჩვენი ყოფა

მუსიკა და თავისუფალი დრო

ამ თავში თქვენ გაეცნობით:

როგორია დასვენების ფორმები თავისუფალ დროს და რა ადგილი უჭირავს მუსიკას; როგორი მუსიკა ჟღერს ხალხის თავშეყრის ადგილებში; როგორ შეუძლია მუსიკის მელოდიას, რიტმს და კილოს დასვენებისთვის განწყობის შექმნა. როგორ შეიძლება მელოდიითა და რიტმული ფიგურაციებით აქტიური ან პასიური დასვენებისთვის მუსიკალური ფონის შექმნა. გაეცნობით მუსიკალური ენის ელემენტებს.

თქვენ შეძლებთ:

განასხვაოთ აქტიური და პასიური დასვენებისათვის შესაფერისი მუსიკა; შეადგინოთ შესაბამისი მუსიკალური კომპოზიციები, შეუსაბამოთ მათ შესაფერისი ხმის ეფექტები და ბიტები; სანოტო სიმბოლოების გამოყენებით გაიმღეროთ თქვენთვის ნაცნობი მარტივი საბავშვო სიმღერები.

29-32 აქტიური და პასიური დასვენება

ამოიცანით, რომელი ფილმების კადრებია ასახული სურათებზე. შემდეგ უყურეთ ფრაგმენტებს ამ მხატვრული ფილმებიდან, იმსჯელეთ და გააკეთეთ დასკვნა, რა არის საერთო ნაჩვენებ ფრაგმენტებში.

ისაუბრეთ, როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? ჩამოთვალეთ და დაახარისხეთ დასვენების ფორმები: პასიური დასვენება; აქტიური დასვენება.



თითი გააყოლეთ ნახაზს. იმღერეთ მელოდია ხაზის მიმართულების მიხედვით. როგორია მელოდიის მოძრაობა, მწყობრი თუ ნახტომისებური? როგორ დასვენებას შეესაბამება მელოდიის ასეთი მოძრაობა: აქტიურს თუ პასიურს?

მოისმინეთ სამი მუსიკალური ფრაგმენტი, მიუსადაგეთ დასვენების ტიპებს და დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილება.

რომელი სანოტო ჩანაწერი შეესაბამება ნახაზს. როგორია მელოდიის მოძრაობა სანოტო ჩანაწერებში, მწყობრი თუ ნახტომისებური? გაიხსენეთ, რა ეწოდება მუსიკაში მანძილს სხვადასხვა სიმაღლის ორ ბგერას შორის? სანოტო ჩანაწერებში აღმოაჩინეთ პატარა, საშუალო და დიდი ინტერვალები.





გაიმღერეთ მელოდიები სქემების მიხედვით. იმსჯელეთ, როგორ დასვენებას შეესაბამება მელოდიის ასეთი განვითარება: აქტიურს თუ პასიურს. აღმოაჩინეთ პატარა, საშუალო და დიდი ინტერვალები ბგერათა სიმაღლეების აღმნიშვნელ სიმბოლოებს შორის.



მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი, შეუსაბამეთ იგი ერთ-ერთ გრაფიკულ გამოსახულებას.

თითი გააყოლეთ და იმღერეთ მელოდია ნახაზის მიმართულების მიხედვით. როგორ დასვენებას შეესაბამება მელოდიის ასეთი მოძრაობა: აქტიურს თუ პასიურს?

მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი და შეუსაბამეთ ერთ-ერთ გრაფიკულ გამოსახულებას.





დიდი ხნის წინ, სანამ სანოტო დამწერლობას გამოიგონებდნენ, სიმღერის ტექსტებს ზემოდან აწერდნენ ტალღისებურ ხაზებს, ამით შემსრულებლებს მიანიშნებდნენ: სად მაღლდებოდა და სად დაბლდებოდა მელოდია.

ფურცლებზე დაწერეთ ლექსის ერთი სტროფი, იმღერეთ თქვენი მელოდია ტექსტის მიხედვით, შემდეგ ტექსტის თავზე გააკეთეთ მელოდიის ამაღლებისა და დადაბლების მინიშნებები. დასვენების რომელ ტიპს შეესაბამება თქვენი მელოდიის განვითარება, აქტიურს თუ პასიურს? როგორი ინტერვალებია ბგერებს შორის, დიდი, საშუალო თუ პატარა?